ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 89

ქალაქი ქუთაისი 26 აგვისტო 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის აგვისტომდე გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №51 განკარგულების საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დამაკმაყოფილებლად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის აგვისტომდე გაწეული მუშაობის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის აგვისტომდე გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი მარეხი ნიჟარაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ებ ულ ო
გას. № 27
27 აგვ. 2026 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის 26 აგვისტოს
№89 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის,
განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის
ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის აგვისტომდე
გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია შედგება 10 წევრისგან. საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 7 (შვიდი) სხდომა, განხილული იქნა 8 (რვა) საკითხი.

კომისიის ყველა სხდომა ჩატარდა საჯაროდ. არც ერთი სხდომა არ გადადებულა და არ ჩაშლილა. თითოეულ სხდომაზე მოწვეული იყვნენ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი წარმომადგენლები, რამაც უზრუნველყო საკითხების სრულყოფილად განხილვა.

კომისიის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, 2026 წლის 30 იანვრის სხდომაზე დამტკიცდა კომისიის სამუშაო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები. სამუშაო გეგმის შესაბამისად, სხდომებზე პერიოდულად განიხილებოდა მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები, კომისიამ სხვადასხვა დროს მოისმინა მერიის შესაბამისი სამსახურის, აგრეთვე სხვადასხვა ა(ა)იპ-ისა და შპს-ის ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ, კერძოდ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის—კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ;

2. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების" 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ;

3. ა(ა)იპ „ბაგა-ბაღების გაერთიანების" 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ;

4. ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ;

5. ა(ა)იპ „ფოლკლორის ცენტრის—სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის" 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

6. ა(ა)იპ „კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების" 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

7. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის“ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისა და ფორმირების პროცესში. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებით კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაციები მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და შესაბამისი პროგრამების განვითარების მიზნით, რაც აისახა კიდეც 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული რიგი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ზრდაში.

კომისიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებასა და სამუშაო შეხვედრაში. მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციისა და სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, მოეწყო და ჩატარდა საქალაქო სპორტული ღონისძიებები შშმ სპორტსმენთა მონაწილეობით; გაიმართა ქუთაისის ღია პირველობა კალათბურთში „ქუთაისის თასი“; იმერეთის ჭიდაობის ფედერაციასთან თანამშრომლობით გაიმართა თეიმურაზ აფხაზავას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; ჩატარდა „აკაკი კიბორძალიძისა და დავით ხახალეიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში“; იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა ღონისძიებები: „მაია ჩიბურდანიძის თასი 2025“ და „დავით ჩირაძის მემორიალი ჭადრაკში“ (გუნდური პირველობა); საქართველოს ფარიკაობის ფედერაციასთან თანამშრომლობით, გაიმართა „გალაქტიონ ჩიქოვანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში“; ჩატარდა „გივი სარდანაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი სამბოში“; მოეწყო „საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში“; ა(ა)იპ „საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ფედერაციის" თანაორგანიზებით, მიმდინარეობს „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“;„სპორტის მართვის მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების ასოციაციის“ ორგანიზებით ჩატარდა „სასკოლო ლიგა“; ქუთაისის კალათბურთის ფედერაციასთან თანაორგანიზებით, ჩატარდა „გელა დარსაძის სახელობის ტურნირი კალათბურთში“; ა(ა)იპ „თბილისის დრაგისა და დრიფტის ფედერაციის“ მიერ, „შენგელია არენას“ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა „დრიფტის ლიგა 2026“-ის მე-3 ეტაპი; ა(ა)იპ „იმერეთის კრივის ფედერაციის“ ორგანიზებით გაიმართა „აკაკი კაკაურიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი კრივში“; „საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის“ მხარდაჭერით ჩატარდა „კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი“ ქართულ ჭიდაობაში; „საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის“ მიერ მოეწყო ქუთაისის ღია პირველობა საქართველოს მასშტაბით; ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსის „სპორტული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში, დაფინანსდა და განხორციელდა პროექტი „Eco Smart Flow“ და „ქალაქ ქუთაისის ღია პირველობა ძალისმიერი სპორტის სახეობაში.

კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს ქალაქ ქუთაისის დაძმობილებულ ქალაქებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ეფექტიანი თანამშრომლობის განვითარებას. ამ მიმართულებით, 2026 წელს ჩატარდა „საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი“, რომლის დროსაც ქუთაისმა შვიდი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს უმასპინძლა. ფორუმის მსვლელობისას განხილულ იქნა აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები და არაფორმალური განათლების შესაძლებლობები.

ახალგაზრდებში ლიდერული თვისებების განვითარებისა და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით, დაბა ბაკურიანში მოეწყო „ზამთრის ლიდერთა სკოლა“. პროექტის ფარგლებში, ბანაკში იმყოფებოდა 80 ახალგაზრდა, რომელთაც დაუფინანსდათ სასტუმრო, კვებითი მომსახურება და კვალიფიციური სატრენინგო კურსი.

ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით, ორმხრივი ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, წარმატებით ჩატარდა პროექტი „ქართული ლიგა", რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქ ქუთაისის 8 საჯარო სკოლის გუნდმა.

წარმატებული და ნიჭიერი სტუდენტების მოტივირებისა და ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, აქტიურად იმუშავა პროექტმა „ქუთაისის მერის სტიპენდიატები". პროგრამის ფარგლებში, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულმა საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის 10-მა წარჩინებულმა სტუდენტმა ერთი სემესტრის განმავლობაში (იანვრიდან ივნისის ჩათვლით) ისარგებლა მერის ყოველთვიური სტიპენდიით.

„სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება" პროექტის ფარგლებში, 2026 წლის ივნისის ჩათვლით, დახმარება გაეწია და პროგრამით სულ ისარგებლა 21-მა ბენეფიციარმა.

ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერისა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, სრულად დაფინანსდა 40-მდე ქუთაისელი მოსწავლის მონაწილეობა საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდებში.

მიმდინარე წლის 1-ელ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის ფარგლებში, ქალაქის ცენტრალურ ბულვარში სხვადასხვა გასართობი აქტივობა და ადგილობრივი საბავშვო სტუდიების კონცერტი მოეწყო. გარდა ამისა ბესარიონ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, მთელი დღის განმავლობაში, ბავშვებს ხუთი ატრაქციონი სრულად უფასოდ მოემსახურა.

ქუთაისის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის დაბა ბაკურიანში მოეწყო საზაფხულო ბანაკი, რომელიც მიმდინარე წლის 28 ივლისიდან 12 აგვისტოს ჩათვლით ხორციელდება, პროექტი სამ ნაკადად არის დაყოფილი და თითოეულ ნაკადში 50 მოსწავლეა.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

კომისია მისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს საქმიანობას. იგი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციასა და ზედამხედველობას გაუწევს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის სფეროების განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალური პროგრამების სრულყოფასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებას.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მე-11 სხდომაზე, 2026 წლის 26 აგვისტოს წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე კობა ფხაკაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი: მარეხი ნიჟარაძე